



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 5 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №138/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 5 აგვისტოს №138 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 9 აგვისტოს №462/138-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ ვადის დარღვევით ჩააბარა დასაბუთებული გადაწყვეტილება და საადსრულებო ფურცელი.

1.2. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევდა სრულად დაეკმაყოფილებინა სარჩელი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. ამასთან, მოსამართლე მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით შემოიფარგლა და მხარეს არ დაუსაბუთა რატომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

--- 2021 წლის 31 აგვისტოს სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების --- და --- - მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2021 წლის 26 ოქტომბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 3 დეკემბერს, 2022 წლის 28 იანვარს და 15 მარტს.

2022 წლის 15 მარტს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით --- სასარგებლოდ დაეკისრა --- ლარის გადახდა.

2022 წლის 28 მარტს მოსარჩელემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის ჩაბარების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. 2 მაისს მოსარჩელეს ჩაბარდა ამონაწერი სასამართლოს სხდომის ოქმიდან და სააღსრულებო ფურცელი.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის N<sup>o</sup>დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა

მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას და აცხადებს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევდა სრულად დაეკმაყოფილებინა სარჩელი, თუმცა ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შედეგად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და სარჩელის საფუძვლად მითითებული სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

ამასთან, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლე მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით შემოიფარგლა და მხარეს არ დაუსაბუთა რატომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257<sup>1</sup> მუხლის თანახმად, იმ საქმეებზე, რომლებზედაც სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება, მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ამასთანავე, განმარტავს გადაწყვეტილების მოტივებს, რაც ცვლის გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს. მოსამართლის განმარტება აისახება სასამართლო სხდომის ოქმში. ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებული არ არის, გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ვინაიდან, მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივარი არ დაიშვებოდა მოსამართლემ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და გადაწყვეტილების მოტივი, ამასთან, განმარტება ასახა სასამართლო სხდომის ოქმში. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს -- -- 2022 წლის 5 აგვისტოს №138 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №138/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -  
- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**